ანგარიში

სს. ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის 2018 წლის სამეურნეო საფინანსო საქმიანობის შესახებ.

კომპანიამ 2018 წელს სამაუწყებლო საქმიანობიდან მიიღო შემოსავალი დამატებითი ღირებულების გარეშე 308767 ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით 28198 ლარით მეტია , მომატებულია რეკლამებიდან შემოსავალი 62568 ლარით, განცხადებებიდან მიღებული შემოსავალი 876 ლარით.

წინა წელთან შედარებით რეკლამებიდან შემოსავლის ზრდა განაპირობა იმან რომ, 2018 წელს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნების 2 ტური.

სამეურნეო საქმიანობაზე გაწეული ხარჯები 2018 წელში შეადგენს 312755 ლარს, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 19218 ლარით. გაზრდილია დარიცხული ხელფასები 3799 ლარით, გაზრდილია საკომუნიკაციო ხარჯი 8444 ლარით, მომატებულია საწევრო გადასახადი 2550 ლარით, მომატებუ;ლია (მარნეული, ბოლნელი და სხვა არხი)მომსახურების ხარჯი 11560 ლარით. შემცირებულია საწვავის ხარჯი 2800 ლარით, შემცირებულია მიმდინარე რემონტის ხარჯი 2263 ლარით. უმნიშვნელოდ შემცირებულია საოფისე ხარჯი.

კომპანია ახორციელებს ღონისძიებებს არხის რეიტინგის ასამაღლებლად.რაც გამოიხატება ახალი სატელევიზიო გადაცემების დამატებაში.არსებულ საავტორო გადაცემებს საანგარიშო წელში დაემატა გადაცემა „ 4 კითხვა", „თავისუფალი დრო"და „ჩემი ექიმი".

საბოლოოდ კომპანიამ 2018 წლის სამეურნეო საქმიანობიდან მიიღო ფინანსური ზარალი 3988 ლარი, რაც წინა წლებთან შედარებით 8980 ლარითაა შემცირებული.

ბუღალტერი: ფატი ხავლოშვილი

ფ. ხავლოშვილი

15.01.2019წ